მწვანე ალტერნატივის შენიშვნები და კომენტარები

შპს „ეკოლოგიკას“ რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს პროექტის საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

7 მაისი, 2014 წ.

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივის შენიშვნებსა და კომენტარებს შპს „ეკოლოგიკას“ რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს პროექტის საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომში - გზშ) ანგარიშის თაობაზე.

შპს „ეკოლოგიკას“ მიერ ჩატარებული გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა

2014 წლის 5 მაისს ქ. თბილისში, სასტუმრო ბაზალეთი პლაზაში ჩატარდა შპს „ეკოლოგიკას“ რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს პროექტის საჯარო განხილვა. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: შპს „ეკოლოგიკას“, საკონსულტაციო კომპანია „ეკოლსერვისის“, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლები. 2014 წ. 5 მაისს ჩატარებული საჯარო განხილვა ატარებდა მეტად ფორმალურ ხასიათს.

პროექტის განმახორციელებელს არ წარმოუდგგენია პროექტის პრეზენტაცია - დაგეგმილ საქმიანობაზე ინფორმაციის წარდგენა სულ რამოდენიმე წინადადებით შემოიფარგლა. განხილვის მსვლელობისას თავად პროექტის გზშ ავტორმა განაცხადა, რომ გზშ ანგარიშის 99% გადმოწერილი ჰქონდა სხვა გზშ ანგარიშიდან და თანაც დაამატა, რომ ის გზშ ანგარიშიც მისი მომზადებული იყო. საჯარო განხილვის შემდგომ, წავედით საპროექტო ტერიტორიაზე, სადაც აღმოჩნდა, რომ განმახორციელებლებს დაგეგმილი ჰქონდათ ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობა და ადგილზევე აღმოაჩინეს, რომ სჭირდებოდათ მშენებლობის ნებართვა (განხილვის მსვლელობისას კი სრულიად საპირისპიროს აღნიშნავდნენ, რომ პროექტის განხორციელება არ მოითხოვდა მშენებლობას).

გარდა ზემოთქმულისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დაგეგმილი საქმიანობის/პროექტის შემთხვევაში, ისევე როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ამ დრომდე ნებადართული ყველა სხვა პროექტის შემთხვევაში, ცხადია, რომ კანონმდებლობით საზოგადოების, განსაკუთრებით, დაგეგმილი პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანების/თემების ინფორმირებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები არაეფექტურია. ამასთან, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებები არ უზრუნველყოფს საქართველოს მიერ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსის კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულებას.

შენიშვნები და კომენტარები

თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ გზშ ანგარიშის უმეტესი ნაწილი გადმოწერილია სხვადასხვა გზშ ანგარიშებიდან, მათ შორის: შპს „ნიუ პროდის“ კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით ცემენტის წარმოების პროექტის გზშ ანგარიშიდან, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ 3900 კუბ.მ ტევადობის (75000 კუბ.მ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის პროექტის გზშ ანგარიშიდან და სხვ. (იმ გზშ ანგარიშების სიმრავლის გამო, საიდანაც დოკუმენტია გადმოწერილი, მხოლოდ ორი მაგალითი მოვიყვანეთ).

განსახილველად წარმოდგენილი გზშ ანგარიშის ნაკლოვანებების თვალსაჩინოებისათვის, ქვემოთ მოცემულია ცხრილი, სადაც ნაჩვენებია გზშ ანგარიშში ასახული ინფორმაციის შესაბამისობა **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის #31 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების (შემდგომში - დებულების) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის** მოთხოვნებთან. ცხრილის პირველ სვეტში მოცემულია დებულების მოთხოვნები, მეორე სვეტში კი, დებულების მოთხოვნასთან შესაბამისობის მდგომარეობა, ჩვენი შენიშვნით/კომენტარით.

დებულების თანახმად, გზშ ანგარიში უნდა მოიცავდეს	**გზშ ანგარიშის შესაბამისობა დებულების მოთხოვნებთან**
(ა) გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს	<u>**საერთოდ არ აკმაყოფილებს**</u> ამ საკითხს ვხვდებით მე-2 თავში. გამომდინარე იქიდან, რომ დოკუმენტის ეს ნაწილი მთლიანად მოიცავს სხვადასხვა პროექტების გზშ ანგარიშების მონაცემებს, შეუძლებელია აქ მოცემული ინფორმაცია, წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში რელევანტურად ჩაითვალოს. მაგალითად, 2.5 ქვეთავში ფლორა და ფაუნა ნათქვამია *„საწარმოო ობიექტის უბნის დაშორებით, ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი უჭირავს მთებს, სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი - ვაკეებსა და ზეგანს. უბანში ნიადაგები ზონალურად არის გავრცელებული - ტერასულ ვაკეებზე წაბლა ნიადაგები ჭარბობს, ხოლო ზეგანზე ნეშომპალა სულფატური (გაჯიანი)“.* მოცემული აღწერილობა, ისევე როგორც ამ თავის უმეტესი ნაწილი, სიტყვასიტყვითაა გადმოწერილი შპს „ნიუ პროდის“ კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით ცემენტის წარმოების პროექტის გზშ ანგარიშიდან; ამასთან, ეს საწარმო მდებარეობს სრულიად სხვა ტერიტორიაზე - თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ხოლო წარმოდგენილი საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია თბილისში, ნავთისხევისა და საქარხნო რაიონის კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოს შორის არსებულ ტერიტორიაზე. იგივე შეიძლება ითქვას ამავე თავის სხვა ქვეთავების შესახებ: რადიაციული ფონი, ფლორა და ფაუნა, გარემოზე ზემოქმედების ფაქტორები, წყლის ობიეტის დაბინძურების მდგომარეობა, ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზი, კლიმატურ მეტეოროლოგიური პირობები და ა.შ. ამგვარად, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი ანგარიშით, საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია სრულიად სხვა ტერიტორიაზე, სხვა გარემო-პირობებში და ამასთანავე, გულისხმობს

	სრულიად განსხვავებულ საქმიანობას (არა ცემენტის წარმოებას), გზშ ანგარიშის მე-2 თავში მოცემული ინფორმაცია, სრულიად არადამაკმაყოფილებელია.
(ბ) საქმიანობით გამოწვეული ზეგავლენის წყაროების, სახეებისა და ობიექტების დადგენას	<u>დიდწილად არ აკმაყოფილებს</u> მოცემული საკითხი ასევე მეტად ზედაპირულად და მოკლედაა განხილული. არ არის დაზუსტებული და სრულად წარმოდგენილი არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. მაგალითად, გზშ ანგარიშში ნათქვამია, რომ *„<u>ტექნოლოგიიდან გამომდინარე</u> წინასწარი შეფასებით, საწარმოო ობიექტისაგან მოსალოდნელი ხმაური არ შეიძლება აღემატებოდეს დასაშვებ ნორმებს - ახლომდებარე მოსახლეობისათვის“*. ამასთან დოკუმენტში შემდეგ საერთოდ არ არის წარმოდგენილი რის საფუძველზეა მოცემული ეს მტკიცება და რომელი ტექნოლოგიების გამოყენებაა დაგეგმილი ხმაურის დასახშობად. <u>ანგარიშში საერთოდ არ არის იდენტიფიცირებული საქმიანობით გამოწვეული ზეგავლენის ობიექტები.</u> მაგალითისთვის, ვინაიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი 600 მეტრითაა დაშორებული დაგეგმილი საწარმოს საპროექტო არეალიდან, ანგარიშში განხილული უნდა იყოს ზეგავლენა მოსახლეობაზე და შესაბამისად, შემდეგ მოცემული უნდა იყოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ყურადსაღებია, რომ 3.3 ქვეთავში საქმიანობით გამოწვეული ზეგავლენის ანალიზისას, დამაბინძურებელ წყაროებს შორის მოხსენიებულია <u>ნავთობპროდუქტების რეზერვუარი;</u> თუმცა, შემდეგ არ არის მოცემული რაიმე განმარტება, თუ რაში გამოიყენებს ნავთობპროდუქტების რეზერვუარებს საწარმო?
(გ) გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზს	<u>ნაწილობრივ აკმაყოფილებს</u> საკითხი განხილულია მე-4 თავში. აქ წარმოდგენილი ინფორმაცია ასევე ზოგადი ხასიათისაა და არაერთი საკითხი მეტად ზედაპირულადაა წარმოდგენილი. მაგალითად, 4.3 ქვეთავი - ნიადაგები, ნათქვამია, რომ *„საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების ყველა ციკლის ფუნქციონირება-რეალიზაცია, არ წარმოქმნის ნიადაგის დაბინძურების შესაძლებლობას და შესაბამისად არ არსებობს წინაპირობა ნიადაგური ზედაპირის დაბინძურების წარმოქმნის მიმართულებით“*. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განმტკიცებული უნდა იყოს სათანადო მონაცემებით, რაც განსახილველად წარმოდგენილ გზშ ანგარიშში არ არის მოცემული.
(დ) საქმიანობის შედეგად შესაძლებელი ავარიული სიტუაციების ალბათობის განსაზღვრასა და მათი მოსალოდნელი შედეგების	<u>საერთოდ არ აკმაყოფილებს</u> მოცემულ საკითხს ვხვდებით მე-5 თავში „საქმიანობის შედეგად შესაძლებელი ავარიული სიტუაციების ალბათობა და მათი მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილების წინადადებები“. აქ

შეფასებას	მოცემული ინფორმაცია სრულიად ბუნდოვანი და გაუგებარია. ამ თავშიც საუბარია არა დაგეგმილ, არამედ სრულიად სხვა საქმიანობაზე; აქ წარმოდგენილ ინფორმაციას ხშირად არაფერი აქვს საერთო რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოსთან. მაგალითისთვის, მე-5 თავში ნათქვამია, *„ნავთობპროდუქტების მიღება-განთავსებისათვის განკუთვნილი რეზერვუარები აღჭურვილი უნდა იყოს დასაშვები დონის მიღების ვიზუალური საშუალებებით“*; ასევე, *„განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების რეზერვუარების დაზიანების შედეგად წარმოქმნილი ავარიები“* და ა.შ. ასეთ წინადადებებს არაერთგან ვხვდებით დოკუმენტის გაცნობისას. ამასთან, არცერთ შემთხვევაში არ არის ახნილი, თუ რაში გამოიყენებს საწარმო ნავთობ-პროდუქტების რეზერვუარებს.
ე) დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას	**საერთოდ არ აკმაყოფილებს** ანგარიშში საერთოდ არ არის შეფასებული ეკონომიკური შედეგები, დანარჩენი საკითხები კი, მხოლოდ თეორიული მიმოხილვაა და რამოდენიმე წინადადებას მოიცავს. არ არის შეფასებული რა სახის ეკონომიკურ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს პროექტის განხორციელება ქვეყანას.
ვ) გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას	**დიდწილად არ აკმაყოფილებს** ამ საკითხზე ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია კრიტიკას ვერ უძლებს. საკითხი განხილულია 7.1 ქვეთავში და მხოლოდ ერთ გვერდს მოიცავს. ამ ქვეთავიდანაც კვლავ გაუგებარი რჩება, თუ რატომ საუბროს გზშ ანგარიშის ავტორი ნავთობის რეზერვუარებზე. მაგალითად, ნათქვამია, რომ *„ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ნორმატივების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ნავთობის რეზერვუარები აღჭურვილია „პანტიმური საკეტით“ აღნიშნული დამცავი საშუალებების განაპირობებენ ნავთობის შენახვის მოთხოვნების დაცვას 90C0 ტემპერატურამდე“;* იქვე: *„საწარმოს ტერიტორიის იმ ნაწილებში, სადაც მოსალოდნელია ნავთობის პოტენციური დაღვრები მოწყობილია შემდეგი გარემოსდაცვითი ღონისძიებები“.*
ზ) ნარჩენი (კუმულატიური) ზეგავლენის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების განსაზღვრას	**საერთოდ არ აკმაყოფილებს** საკითხი დოკუმენტში სულ რაღაც ნახევარ გვერდზეა წარმოდგენილი და ეს რამოდენიმე წინადადებაც კი, მეტად ზედაპირულია. მე-8 თავში მხოლოდ ნათქვამია, რომ *„კუმულაციური ზეგავლენის კონტროლი დაგეგმილი საქმიანობის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას განეკუთვნება. ეს მიმართულება მოითხოვს სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების რეკომენდაციის შემუშავებას“*. თუმცა, რა ღონისძიებებზეა საუბარი, ასევე გაუგებარი.

(თ) პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების ჩატარებას	<u>საერთოდ არ აკმაყოფილებს</u> ამ თემაზე ანგარიშში მხოლოდ სათაურია მოცემული; თავად თემა კი, საერთოდ არ არის განხილული.
(ი) პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას	<u>საერთოდ არ აკმაყოფილებს</u> ამ საკითხს დოკუმენტის მე-9 თავში ვხვდებით, რომელიც ასევე მეტად არასრულყოფილია. დოკუმენტში ნათქვამია, რომ *„ინვესტორის მიერ წინასწარ ხორცილდებოდა საწარმოსათვის ადგილმდებარეობის შერჩევა თბილისის მასშტაბით... ადგილების შერჩევა ხორციელდებოდა ძირითადად თბილისის გარეუბნებში, სამრეწველო ზონებში.. საბოლოოდ შეირჩა ისეთი ტერიტორია, რომელიც წარმოადგენს სამრეწველო ზონას“*. ანგარიშში არ ჩანს, რომელი ტერიტორიები განიხილებოდა შერჩევის ეტაპზე და რატომ მიენიჭა უპირატესობა საბოლოო ვარიანტს. არ არის წარმოდგენილი, ასევე, ტექნოლოგიური ალტერნატივები. როგორც ირკვევა, ინვესტორი არჩევდა ტექნოლოგიებს, თუმცა, ანგარიშიდან არ არის ნათელი, როგორ მოხდა ტექნოლოგიის შერჩევა და რაში მდგომარეობს არჩეული ტექნოლოგიის/დანადგარების უპირატესობა სხვებთან.
(კ) სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრას	<u>აკმაყოფილებს</u>
(ლ) საზოგადოების ინფორმირებასა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლას	<u>საერთოდ არ აკმაყოფილებს</u> ანგარიშის მე-10 თავი - „საზოგადოების ინფორმირება და საზოგადოებრივი აზრის შეფასება“ - ზოგადაღწერილობითია. არ არის ნათელი, გასწია, თუ არა ინვესტორმა ძალისხმევა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის. აქ უბრალოდ ნათქვამია, რომ *„ცენტრალურ და რეგიონალურ გეჭვდით ორგანოში სათანადო ინფორმაციის გამოქვეყნებამ, მოსალოდნელია გამოიწვიოს შემდგომი გამოხმაურება საზოგადოებიდან და შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა გარემოზე ზემოქმედების შეფასების აქტუალურ პრობლემებზე. ასეთი შესაძლებლობის გამოჩენა და დამუშავებული გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაციის საჯარო განხილვის შედეგების, აგრეთვე დამოუკიდებელი ექსპერტების წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინება უდაოდ შეასრულებს დადებით როლს... გზშ ანგარიშის სრულყოფის... მიმართულებით“*.

(მ) პროექტის განხორციელების შემდგომ სიტუაციის ანალიზის გეგმას	<u>საერთოდ არ აკმაყოფილებს</u> 9.2 ქვეთავი დასათაურებულია, როგორც „პროექტის განხორციელების შემდგომ სიტუაციის ანალიზი, მოსალოდნელი ემისიების სახეობები და რაოდენობები"; თუმცა, ქვეთავში მოცემულია მხოლოდ და მხოლოდ მოსალოდნელ ემისიათა დასახელებები.
(ნ) მოსალოდნელი ემისიების სახეობებისა და რაოდენობის დადგენას	<u>ნაწილობრივ აკმაყოფილებს</u> ემისიებთან დაკავშირებული საკითხი დოკუმენტში ასევე არასრულყოფილადაა წარმოდგენილი. ანგარიშის 3.3 ქვეთავში მოცემულია მხოლოდ ზოგადი დახასიათება გარემოში გამოყოფილი მავნე ნივთიერებებისა, შემდეგ კი, მოცემულია ცხრილი, სადაც წარმოდგენილია მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები. ბოლოს ნათქვამია - *„საწარმო ვალდებულია ისე მოაწყოს თავისი საქმიანობა, რომ თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დაცულ იქნას ცხრილ-14-ში მოყვანილი მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციები, რისთვისაც საჭიროა ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტი დაცვა".* აღნიშნულის გარდა, დოკუმენტში არაფერია ნათქვამი, თუ რა მონაცემებზე/ინფორმაციაზე დაყრდნობით იქნა მომზადებული მე-14 ცხრილში, რა ტექნოლოგიებს გამოიყენებს საწარმო ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა შესამცირებლად. რაც შეეხება ნარჩენების მართვას, ამ საკითხს 7.2 ქვეთავში ვხვდებით. აქ მეტად ზედაპირულად, მხოლოდ თეორიულადაა მიმოხილული ნარჩენების მართვის გეგმა. არ არის გაწერილი დაზუსტებით, რა სახის ნარჩენებზეა საუბარი, როგორ და სად მოხდება მისი საბოლოო განთავსება.
(ო) დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზს (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე)	<u>საერთოდ არ აკმაყოფილებს</u> ანგარიში საერთოდ არ მოიცავს ასეთ ინფორმაციას.
(პ) დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის აღწერას (მათ შორის – დანადგარის საპასპორტო მონაცემები)	<u>ნაწილობრივ აკმაყოფილებს</u> დოკუმენტში აღწერილია ტექნოლოგიური პროცესი, თუმცა, არ არის მოცემული დანადგარის საპასპორტო მონაცემები.
(ჟ) გარემოზე დადგენილ ზემოქმედებათა ფაქტორების შედეგად მიღებული გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის	<u>საერთოდ არ აკმაყოფილებს</u> 9.3 ქვეთავში მოცემულია „გარემოზე დადგენილ ზემოქმედებათა ფაქტორების შედეგად მიღებული „გარემოს მოსალოდნელი

პროგნოზს	მდგომარეობის“ პროგნოზი“. ის სულ რამოდენიმე წინადადებითა და ცხრილით შემოიფარგლება. ცხრილში მოცემულია ცალკეული კომპონენტები და მათ მიმართ პროექტის განხორციელების შემდეგ გავლენის მასშტაბები. ანგარიშის ავტორი, გარემოს ყველა კომპონენტის შესახებ აღნიშნავს, რომ მათზე გავლენა უმნიშვნელო იქნება; თუმცა, რის საფუძველზე კეთდება ასეთი დასკვნები, გაუგებარი რჩება. ამგვარი მტკიცებების გასამყარებლად დოკუმენტი არ მოიცავს საკმარისი მონაცემებს.
რ) საქმიანობის განხორციელებისა და მიმდინარეობის ეტაპისათვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შემუშავებას, სადაც გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვითმონიტორინგის პროგრამა	**<u>აკმაყოფილებს</u>**

ზოგადი ხასიათის შენიშვნები:

1. გზშ ანგარიშში ვხვდებით ზოგადი სახის უზუსტობებს. მაგალითად 23-ე გვერდზე ნათქვამია: „*გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით მდ. მტკვრის წყლის ხარისხი <u>2010 წლისათვის</u> მოცემულია ცხრილ 6-ში*“. შემდეგ კი მოცემულია ცხრილი 6, რომელიც დასათაურებულია, როგორც *„მდ. მტკვრის დაბინძურების საშუალო მახასიათებლები <u>2011 წლისათვის“.</u>*

2. დოკუმენტის სხვადასხვა გვერდზე მეორდება ერთი და იგივე სახის ინფორმაცია; მაგალითად, ის რაც მოცემულია 37-ე გვერდზე, მეორდება 38-ე გვერდზეც.

3. ქვეთავში „დასაქმება და ეკონომიკური კეთილდღეობა“ მოცემულა შემდეგი წინადადება: „*საწარმოს მიმდინარე საქმიანობის პროცესში <u>დასაქმებულია</u> 12-მდე კაცი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა <u>შეადგენს</u> ქ. თბილისის და მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობას*“. აღნიშნულიდან გაურკვეველია, საქმიანობა უკვე მიმდინარეობს და უკვე შერჩეულია კადრები, თუ გზშ ავტორი, გულისხმობს მომავალში დასასაქმებლებს.